"ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შეკრებილი

საკონკურსო კომისიის
ოქმი #3
ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტების გახსნა

სხდომა ჩატარდა სს „ნამახვანის" დირექტორის #ORD-04-1102-1 ბრძანების შესაბამისად "ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების კონკურსის მეშვეობით შესყიდვის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, 2015 წლის 27 თებერვალს 15:00 საათზე, საზოგადოების ოფისში, მისამართზე ნ. ბარათაშვილის #8, თბილისი.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

აკაკი კეჟერაშვილი (სს „ნამახვანის" მთავარი ინჟინერი) - კომისიის წევრი
სოფიო მაჩალაძე (სს „ნამახვანის" უფროსი იურისტი) - კომისიის წევრი

შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალი-ს წარმომადგენელი ირინე კვეტენაძე (ოფისის მენეჯერი)

<u>დღის წესრიგი:</u>

"ქუთაისი-ალპანა-მამისონი" საავტომობილო გზის ნამოხვანი-ალპანის მონაკვეთის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (feasibility study) და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის მომზადების შესყიდვის კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტების გახსნა.

<u>მიმდინარეობა:</u>

საკონკურსო კომისიის წევრმა, სოფიო მაჩალაძემ განაცხადა, რომ 2015 წლის 26 თებერვალს, წინადადებების მიღების დღეს, წინადადება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალმა. მან წარმოადგინა ტექნიკური დოკუმენტაციის შემცველი კონვერტი და ფინანსური წინადადების შემცველი კონვერტი. ფინანსური წინადადების შემცველი დოკუმენტი შენახულ იქნა დალუქულ მდგომარეობაში, ხოლო ტექნიკური კონვერტის გახსნა, განხორციელდა 2015 წლის 27 თებერვლის მიმდინარე შეხვედრაზე.

კომისიის წევრებმა დაათვალიერეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადასტურეს, რომ საკონკურსო წინადადებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი წარმოდგენილია (იხ. დანართი #1). შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის წარმომადგენელმა ასევე ხელმოწერით

დაადასტურა, რომ მის თვალწინ გაიხსნა დალუქული კონვერტი და აღნიშნა თუ რა დოკუმენტებს შეიცავდა კონვერტი (იხ. დანართი #3)

შეხვედრაზე განხორციელდა ვიდეოგადაღება.

<u>კომისიამ დაადგინა:</u>

მიღებულ იქნას შპს კოკს კონსალტი-ს საქართველოს ფილიალის ტექნიკური დოკუმენტაცია განსახილველად. კომისიას განესაზღვროს დრო, არაუგვიანეს 2015 წლის 10 მარტისა, განიხილოს ტექნიკური დოკუმენტაცია და წარმოადგინოს შესაბამისი შეფასება.

სოფიო მაჩალაძე	აკაკი კეჟერაშვილი

ფაქსი N1

საკონკურსო კომისია სს „ნამახვანი“

კონკურსი #1465

თბილისი, 2015 წლის 27 თებერვალი

ბარათაშვილის #8

15:00 სთ.

ტერნიკური დოკუმენტაციის კონვერტის გახსნა

გაიხსნა კოქს კონსალტ GmbH საქართველოს ფილიალის ტექნიკური კონვერტი. კონვერტი შეიცავს შემდეგ დოკუმენტაციას:

1	საკონკურსო წინადადების მე-5 პუნქტით განსაზღვრული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	V
2	დამოწმებული აფიდავიტი	V
3	ინფორმაცია მოწყობილობა-აპარატურის შესახებ	V
4	ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა შესახებ	V
5	ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ	V
6	ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების და მისი ვინაობის შესახებ	V

კომისიის წევრები:

სოფიო მაჩალაძე ----------

აკაკი კეჟერაშვილი ----------

ტბ- N2

კოქს კონსალტ GmbH საქართველოს ფილიალის

წარმომადგენელი

ირინე კვესელავა – ოფისის მენეჯერი

თანხმობას ვაცხადებ, 2015 წლის 27 თებერვალს, ბარათაშვილის #8-ში, სს „ნამახვანის“ ოფისში, მის მიერ გამოცხადებულ #1465 კონკურსთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე, სადაც უნდა განხორციელდეს ტექნიკური კონვერტების გახსნა, მოხდეს ვიდეოგადაღება და გამოყენებულ იქნას აღნიშნული ჩანაწერი სს „ნამახვანის“ მიერ კონვერტების გახსნის საჯაროობის დადასტურებისთვის აუცილებლობის შემთხვევაში.

27.02.2015 წ.

ფურცელი N3

კოქს კონსალტ GmbH საქართველოს ფილიალის

წარმომადგენელი

[illegible]

ვადასტურებ, რომ 2015 წლის 27 თებერვალს, ვესწრებოდი სს „ნამახვანის“ მიერ გამოცხადებულ #1465 კონკურსთან დაკავშირებულ შეხვედრას - ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტების გახსნას, ქ. თბილისში, ბარათაშვილის #8-ში. საკონკურსო კომისიის წარმომადგენლებმა, განაცხადეს, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ჩვენმა კომპანიამ და შესაბამისად წარმოადგინეს მხოლოდ ჩვენს მიერ 2015 წლის 26 თებერვალს მიწოდებული ტექნიკური დოკუმენტაციის შემცველი კონვერტი. კონვერტი იყო დალუქულ მდგომარეობაში, გაუხსნელი. კონვერტი გაიხსნა ჩემს თვალწინ. კომისიის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს დოკუმენტაცია და განაცხადეს, რომ კონვერტი შეიცავს შემდეგ მასალებს:

ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი
კოქს კონსალტ GmbH საქართველოს ფილიალი

1	საკონკურსო წინადადების მე-5 პუნქტით განსაზღვრული, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	✓
2	დამოწმებული აფიდავიტი	✓
3	ინფორმაცია მოწყობილობა-აპარატურის შესახებ	✓
4	ინფორმაცია ძირითად სპეციალისტთა შესახებ	✓
5	ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ	✓
6	ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების და მისი ვინაობის შესახებ	✓

27.02.2015 წ.

[illegible]